



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით
საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ

N1გ/1244-14

09 დეკემბერი 2014 წელი
თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს
საგამომიებო კოლეგიის მოსამართლე
გიორგი მიროტაძემ
ნათია კაპანაძის მდივნობით,

პროკურორ - თამარ პაპავას,
ბრალდებულ - შ.ხ.-ს მონაწილეობით,

ზეპირი მოსმენით, ღია სასამართლო სხდომაზე განვიხილე ბრალდებულ შ.ხ.-ს მიმართ, აღკვეთის ღონისძიების სახით 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით გირაოს გამოყენების თაობაზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე გოგიტა თოთოსაშვილის 2014 წლის 04 დეკემბრის განჩინებაზე, თბილისის პროკურატურის შ.ს. სამინისტროს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორ გენადი ბაღდასაროვის საჩივარი და

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე :

საქართველოს შს სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს კრიმინალური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საგამომიებო სამსახურის წარმომადგენელის სისხლის სამართლის NXXXXXXXXXXXX საქმე ბრალდებულ შ. შ.-ს ძე ხ.-ს (დაბ.: XXXX წლის XX ნოემბერს, პ/ნ XXXXXXXXXXX) მიმართ.

შ.ხ.-ს 2014 წლის 04 დეკემბერს წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით (ორი ეპიზოდში) - ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებისათვის, ჩადენილი ამ დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ (იხ.: დადგენილება პირის ბრალდების შესახებ).

2014 წლის 04 დეკემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას შუამდგომლობით მიმართა თბილისის პროკურატურის შ.ს. სამინისტროს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორმა გენადი ბაღდასაროვმა და მოითხოვა ბრალდებულ შ.ხ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე გოგიტა თოთოსაშვილის 2014 წლის 04 დეკემბრის განჩინებით ბრალდებულ შ.ხ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული იქნა გირაო 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით, ხოლო გირაოს შეტანის ვადა განისაზღვრა 30 (ოცდაათი) დღით.

აღნიშნული განჩინება, თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიაში გაასაჩივრა პროკურორმა გენადი ბაღდასაროვმა, რომელიც ითხოვს გასაჩივრებულ განჩინების გაუქმებას და ბრალდებულისათვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდებას.

საჩივარში მითითებულია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინება არის დაუსაბუთებელი, უკანონო და ვერ უზრუნველყოფს აღკვეთის ღონისძიების მიზნების შესრულებას. არ არის აცილებული ის საფრთხე, რაც შეიძლება გამოიწვიოს ბრალდებულის თავისუფლებაში ყოფნამ. შ. ბ. ნარკოტიკული საშუალების აქტიური მომხმარებელია, ბრალი ედება დანაშაულთა ერთობლიობით, მიუხედავად იმისა, რომ იგი არაერთხელ იქნა გასამართლებული, არ დაადგა გამოსწორების გზას. მას შემდეგ, რაც დაედო ადმინისტრაციული სახდელი და გასამართლებული იქნა, გააგრძელა ანალოგიური ქმედებების ჩადენა და პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფმა მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება. მის მიმართ შეფარდებულმა არასაპატიმრო სასჯელმა ვერ უზრუნველყო სასჯელის მიზნების შესრულება და შესაბამისად, თავისუფლების პერიოდში ვერ იქნება უზრუნველყოფილი ბრალდებულის სათანადო ქცევა, ვინაიდან დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით არსებობს ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე.

საჩივრის განხილვის დროს პროკურორმა თამარ პაპავამ მხარი დაუჭირა გასაჩივრებული განჩინების გაუქმების და ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების მოთხოვნას საჩივარში მითითებული საფუძვლებით. პროკურორმა სასამართლოს შეკითხვაზე დამატებით აღნიშნა, რომ 2013 წლის 02 და 10 აპრილის ფაქტებზე, წელიწადნახევრის შემდეგ ბრალდებულის პასუხისგებაში მიცემა განპირობებული იყო საქმეთა სიმრავლით.

ბრალდებული შ. ბ. არ დაეთანხმა პროკურორის მოთხოვნას და მოითხოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინების ძალაში დატოვება. ბრალდებულმა დამატებით განმარტა, რომ გააჩნია გირაოს გადახდის შესაძლებლობა, ამასთან, მას 2013 წლის შემდეგ ნარკოტიკული საშუალება არ მოუხმარია და დაადგა გამოსწორების გზას.

სასამართლომ განიხილა საჩივარი, მოისმინა ბრალდების მხარის, ასევე ბრალდებულის განმარტებები, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს, გააანალიზა ბრალდებულ შ. ბ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით გირაოს გამოყენების შესახებ პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინების საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შემდეგი გარემოებები:

საქმის მასალებით დგინდება, რომ განჩინების გაცემისას სასამართლომ გამოიკვლია მტკიცებულებათა (ბრალდებით გათვალისწინებული ქმედების ფაქტობრივ გარემოებათა შესახებ მასალების) საკმარისობის საკითხი და მიუთითა, რომ პირის ბრალდების შესახებ დადგენილებაში მითითებული ფაქტებისა და ინფორმაციის (ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 31 მაისის დადგენილების, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 23 იანვრის განაჩენის, ნარკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნების, მოწმეთა დაკითხვის ოქმების და საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებათა) ერთობლიობა საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისთვის, რომ ბრალდებულმა შესაძლოა ჩაიდინა ბრალად წარდგენილი ქმედება.

განჩინების მიღებისას პირველი ინსტანციის სასამართლომ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ბრალდებულს ბრალად ედება ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენა, რომელიც თავისუფლების აღკვეთასთან ერთად სასჯელის სახით ითვალისწინებს არასაპატიმრო სასჯელსაც. ამასთან, ბრალდებული სრულად ცნობს თავს დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში, აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ბრალდებულის სათანადო ქცევის უზრუნველსაყოფად სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია აღკვეთის ღონისძიების სახით 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით გირაოს გამოყენება. ხოლო, გირაოს ოდენობა განსაზღვრა ბრალდების სიმძიმისა და ბრალდებულის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით.

საგამოძიებო კოლეგია ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს მოტივაციას იმის შესახებ, რომ სახეზეა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების წინაპირობები. წარმოდგენილი სისხლის სამართლის საქმის მასალები იძლევა დასაბუთებული ვარაუდის საფუძველს, რომ შესაძლებელია ბრალდებულ შ. ბ.-ს ჩადენილი ჰქონდეს ბრალად წარდგენილი დანაშაული. შესაბამისად, აღნიშნულთან დაკავშირებული დასაბუთებული ვარაუდი კი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-11 ნაწილის თანახმად, არის აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის გათვალისწინებული მტკიცებულებითი სტანდარტი, ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით

დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა. ამდენად, ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენება მოცემულ საქმეზე სრულად შეესაბამება საპროცესო მოთხოვნებს და პირდაპირ გამომდინარეობს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფაქტობრივი საფუძვლებიდან.

საგამომიებო კოლეგია აღნიშნავს, რომ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საპროცესო და ფაქტობრივი საფუძვლების შემოწმების შემდეგ, მოსამართლემ უნდა იმსჯელოს კონკრეტული აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მიზანშეწონილობაზე და გადაწყვიტოს თუ რომელი აღკვეთის ღონისძიება უფრო უკეთ უზრუნველყოფს ბრალდებულის სათანადო ქცევას გამომიებისა და საქმის სასამართლო განხილვის სტადიებზე. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლით გათვალისწინებული აღკვეთის ღონისძიების მიზნების მიღწევა, რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, აღკვეთის მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა, უზრუნველყოფილ იქნას განაჩენის აღსრულება, შესაძლებელია სხვადასხვა სახის აღკვეთის ღონისძიებით, რომელთაგან მოსამართლემ უნდა შეარჩიოს ყველაზე უფრო რელევანტური.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის თანახმად, პატიმრობა როგორც აღკვეთის ღონისძიება, გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ის ერთადერთი საშუალებაა, რათა თავიდან იქნას აცილებული: ბრალდებულის მიმალვა და მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლა, ბრალდებულის მიერ მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელის შეშლა, ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენა. ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბრალდებულს პატიმრობა ან სხვა აღკვეთის ღონისძიება არ შეიძლება შეეფარდოს, თუ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნების მიღწევა შესაძლებელია სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით. ხოლო, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, უპირატესობა ყოველთვის უნდა მიენიჭოს უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვის ყველაზე მსუბუქ ფორმას.

საგამომიებო კოლეგია განმარტავს, რომ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მართლზომიერების შეფასებისას აუცილებელია, მხედველობაში იქნას მიღებული საქმესა და ბრალდებულთან დაკავშირებით არსებული კონკრეტული და ინდივიდუალური მახასიათებლები, რამაც უნდა შექმნას ან გამორიცხოს პატიმრობის გამოყენების შესაძლებლობა. სასამართლოს აქვს ვალდებულება აღკვეთის ღონისძიება გამოიყენოს მხოლოდ მკაცრად გაწერილი საფუძვლების არსებობისას, ხოლო პატიმრობა - როგორც უკიდურესი ღონისძიება, უნდა გამოიყენოს მხოლოდ სათანადო დასაბუთების შემთხვევაში და აუცილებლობისას. თუმცა ამავე დროს, აუცილებელია, რომ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახე იყოს ჩადენილი ქმედების პროპორციული.

საკითხის განხილვისას, საგამომიებო კოლეგია ყურადღებას მიაქცევს ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციაზე, რომლის მიხედვითაც დაპატიმრება გამოყენებული უნდა იქნას საგამონაკლისო ღონისძიების სახით. ასევე, ის არ უნდა იყოს სავალდებულო ხასიათის და არ უნდა იქნას მიმართული დასჯის მიზნებისათვის (Recommendation No.R(80)11 of the Committee of Ministers of the Council of Europe concerning Custody Pending Trial. პატიმრობის საგამონაკლისო ბუნება აღნიშნულ რეკომენდაციაში წარმოდგენილია სწორედ უდანაშაულობის პრეზუმფციის კონტექსტში. იმისათვის, რომ წარმოდგენილი რეკომენდაცია პრაქტიკაში მოქმედებდეს, აუცილებელია პროპორციულობის დაცვა, რაც, ეროვნული კანონმდებლობით, აკისრია როგორც შუამდგომლობის წარმდგენ ორგანოს, ისე სასამართლოს. ამ უკანასკნელთან მიმართებით კანონმდებლობა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-4 ნაწილი მიუთითებს სასამართლოს უფლებამოსილებაზე, პატიმრობა გამოიყენოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც აღკვეთის ღონისძიების ზოგადი მიზნების მიღწევა სხვა ღონისძიებით შეუძლებელია. სასამართლოს აქვს ვალდებულება აღკვეთის ღონისძიება გამოიყენოს მხოლოდ მკაცრად გაწერილი საფუძვლების არსებობისას, ხოლო პატიმრობა - როგორც უკიდურესი ღონისძიება, უნდა გამოიყენოს მხოლოდ სათანადო დასაბუთების შემთხვევაში და აუცილებლობისას.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, პატიმრობის გამოყენების საჭიროება უნდა ეფუძნებოდეს დამაჯერებელ და თანმიმდევრულ საფუძვლებს, რომელთა

შეფასებაც კონკრეტულ გარემოებებში მოხდება. ხოლო, ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნის გონივრულობა უნდა შეფასდეს კონკრეტული გარემოებების მიხედვით. განგრძობადი პატიმრობა შეიძლება გამართლდეს მხოლოდ მაშინ, როცა საქმის გარემოებები მიუთითებენ ჭეშმარიტი საჯარო ინტერესის არსებობაზე და აღნიშნული, მიუხედავად უდანაშაულობის პრეზუმფციისა, გადაძლევს ინდივიდუალური თავისუფლების დაცულობის ნორმას (ECtHR 12 March, 2009, Aleksandr Makarov v. Russia, No.15217/07).

საგამოძიებო კოლეგია აღნიშნავს, რომ როგორც ეროვნული, ასევე ევროპული სასამართლოს მიერ განვითარებული პრაქტიკა ნათლად მოწმობს საპატიმრო აღკვეთის ღონისძიების საგამონაკლისო ბუნებაზე და საკითხის განხილვის დროს მნიშვნელოვანია დადგინდეს, თუ რამდენად არსებობს ბრალდებულის მიმართ პატიმრობის გამოყენების აუცილებლობა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ეტაპზე და თუ ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით შეიძლება მიღწეულ იქნას აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნები, მაშინ უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენება არ არის მართლზომიერი.

რაც შეეხება, პატიმრობის მოთხოვნის დასაბუთებულობას, აღნიშნულთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ მტკიცების ტვირთი ყოველთვის ბრალდების მხარესაა. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ბრალდების მხარეს ეკისრება ვალდებულება, წარმოადგინოს დასაბუთება აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის გამოყენების პროპორციულობასთან დაკავშირებით. ამასთან, აღნიშნული ნორმა ადგენს პროკურორის ვალდებულებას, დაასაბუთოს, თუ რატომ არის საჭირო კონკრეტული აღკვეთის ღონისძიების გამოყენება და რატომ ვერ იქნება მიზანი მიღწეული სხვა ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით.

აღნიშნულთან დაკავშირებით ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ სწორედ ბრალდებამ უნდა ამტკიცოს იმ გარემოებების არსებობა, რაც პატიმრობის საწყის ეტაპზე და შემდგომშიც, პატიმრობის ვადის ამოწურვამდე, ამართლებს პირის თავისუფლების აღკვეთას (Ilijkov v. Bulgaria). ამასთან, ევროპული სასამართლოს მიდგომით, ხელისუფლების ორგანოებს ევალებათ, შეამოწმონ იმ საჯარო ინტერესის არსებობის დამადასტურებელი ან საწინააღმდეგო ყველა გარემოება, რომელიც, უდანაშაულობის პრეზუმფციის გათვალისწინებით, ამართლებს გადახვევას ადამიანის თავისუფლების პატივისცემის ზოგადი წესიდან (Sargia and Yagci v. Turkey).

კონკრეტულ შემთხვევაში, საგამოძიებო კოლეგია მხედველობაში იღებს, როგორც დანაშაულის სიმძიმეს (მოსალოდნელი სასჯელის ზომას), ქმედების ხასიათს, ასევე ბრალდებულის გულწრფელ აღიარებას და იმას, რომ ინანიებს ჩადენილ ქმედებას. საგამოძიებო კოლეგია ითვალისწინებს იმ გარემოებასაც, რომ ბრალდებულს ბრალად ედება ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენა, ხოლო ქმედება, რომელზედაც ბრალი აქვს წარდგენილი (2013 წლის 02 და 10 აპრილის ფაქტები) მართალია ჩაიდინა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 23 იანვრის განაჩენით ანალოგიური ქმედებისთვის დადგენილი პირობითი მსჯავრის პერიოდში, მაგრამ საყურადღებოა, რომ იგი ამ პერიოდში სხვა ანალოგიური ქმედებისათვის (2013 წლის 16 ივლისის და 07 აგვისტოს ფაქტებზე) თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გასამართლებული იქნა 2013 წლის 22 ოქტომბერს და განაჩენთა ერთობლიობით დაუდგინდა საპროცესო შეთანხმების საფუძველზე ისევ პირობითი მსჯავრი, რის შემდეგაც იმყოფება აღრიცხვაზე პრობაციის ბიუროში, სადაც არ დაურღვევია მასზე დაკისრებული მოვალეობა (ასეთი რამ საქმის მასალებით არ დასტურდება) და არ გამოვლენილა (არ შემჩნეულა) რაიმე კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რაც საგამოძიებო კოლეგიას უქმნის საფუძველს ვარაუდისთვის, რომ ბრალდებული დაადგა გამოსწორების გზას. ყოველივე აღნიშნული კი საგამოძიებო კოლეგიის აზრით მნიშვნელოვნად ამცირებს ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხესთან დაკავშირებით მოსალოდნელ რისკებს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბრალდებული არ ყოფილა მოცემულ საქმეზე დაკავებული, ბრალდების მხარეს არ მიუმართავს სასამართლოსთვის მისი დაკავების მოთხოვნით განჩინების გაცემის თაობაზე და მხოლოდ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობით მოითხოვა მისთვის პატიმრობის გამოყენება. უფრო მეტიც, პირობითი მსჯავრის პერიოდში დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა, წარმოადგენს პრობაციის ბიუროს მიერ კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი რეაგირების მოხდენის საფუძველს და არა მოცემულ საქმეზე აღკვეთის ღონისძიების სახით აუცილებლად პატიმრობის შეფარდების უპირობო საფუძველს, თუმცა აღნიშნული უდავოდ მიუთითებს ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეზე, რაც ზემოთაც აღინიშნა და რომლის გათვალისწინებითაც ხდება აღკვეთის ღონისძიების გამოყენება.

აქვე აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება იმ გარემოებასაც, რომ მოცემულ საქმეზე 2013 წლის 02 და 10 აპრილის ფაქტებზე გამოძიება დაიწყო 2013 წლის 22 აპრილს, რა დროსაც საქმის მასალების მიხედვით მიებას უკვე მოპოვებული ჰქონდა ნარკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნები, შსს საინფორმაციო ცენტრის ინფორმაცია და ბრალდებულის მიმართ 2013 წლის 23 იანვარს გამოტანილი განაჩენი, რითაც ცნობილი გახდა, რომ ბრალდებული იმყოფებოდა პირობითი მსჯავრის ქვეშ. აღნიშნულის შემდეგ მხოლოდ დაახლოებით ერთი წლის შემდეგ ხდება გამომძიებლის მიმართვა პრობაციის ბიუროსადმი ინფორმაციის გამოთხოვაზე, რაზედაც 2014 წლის 31 მარტის წერილით პრობაციის ბიუროს მიერ გამომძიებელს ეცნობა შ. ხ.-ს თბილისის პრობაციის ბიუროში აღრიცხვაზე ყოფნის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 22 ოქტომბრის განაჩენის საფუძველზე და გამომძიებელი მხოლოდ 4 თვის შემდეგ ითხოვს პრობაციის ბიუროდან მითითებული განაჩენის ასლს, რასაც ღებულობს დაუყოვნებლივ 2014 წლის 14 აგვისტოს, თუმცა 2013 წლის 02 და 10 აპრილის ფაქტებზე, რაც დადასტურებული იყო ნარკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნებით და მის შემდეგ ფაქტიურად საქმეზე არანაირი საპროცესო მოქმედებები არ განხორციელებულა, შ. ხ. დაკითხული იქნა მოწმის სახით მხოლოდ, გამომძიებლის დაწყებიდან დაახლოებით 1 (ერთი) წლისა და 6 (ექვსი) თვის შემდეგ - 2014 წლის 09 ოქტომბერს და ბრალდებულის სახით პასუხისგებაში იქნა მიცემული 2014 წლის 04 ნოემბერს, მაშინ როდესაც საქმის მასალების მიხედვით აღნიშნულის საფუძველი გამოძიებას თავიდანვე გააჩნდა. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ამ პერიოდში ბოლო განაჩენით დადგენილი პირობითი მსჯავრის შემდეგ, 2013 წლის 22 ოქტომბრიდან შ. ხ.-ს არასათანადო ქცევა გამოვლენილი არ ყოფილა. ამ შემთხვევაში საგამომძიებო კოლეგია ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებასაც, რომ მითითებული პერიოდი კონკრეტულ შემთხვევაში არის არაგონივრული საქმეზე მიების წარმართვისათვის და ასეთ ვითარებაში პირის გაურკვეველ მდგომარეობაში და ყოველდღიური მოლოდინის რეჟიმში ყოფნა, როცა ამის აუცილებლობა არ არსებობდა, არ ემსახურება სისხლის სამართლის პროცესის მიზნებს. ამასთან, არ შეიძლება საგამომძიებო ორგანოს ასეთი ქმედება გამართლდეს საქმეთა სიმრავლით, ვინაიდან ამით ირღვევა უდანაშაულობის პრეზუმფციის გათვალისწინებით, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლით გარანტირებული, პიროვნების ინდივიდუალური თავისუფლების უფლება და ზოგადად სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპი.

საგამომძიებო კოლეგია ითვალისწინებს ასევე იმ გარემოებას, რომ გირაო - საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის შესაბამისად, არის ფულადი თანხა ან უძრავი ქონება, რომელიც შეაქვს ბრალდებულს მისი სახელით ან მის სასარგებლოდ სხვა პირს სასამართლოსათვის მიცემული წერილობითი ვალდებულებით ბრალდებულის სათანადო ქცევისა და გამომძიებელთან, პროკურორთან, სასამართლოში დროულად გამოცხადების უზრუნველყოფის თაობაზე. ამასთან, თუ ბრალდებულმა, რომლის მიმართაც აღკვეთის ღონისძიებად შერჩეულია გირაო, დაარღვია ამ ღონისძიების გამოყენების პირობა ან კანონი, პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით გირაო შეიცვლება უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით. ამავე განჩინებით გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხა გადაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში, ხოლო უძრავი ქონება გირაოს სახით შეფარდებული ფულადი თანხის ამოღების მიზნით, აღსასრულებლად მიიქცევა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. ბრალდებულს ან მის სასარგებლოდ გირაოს შემტანს განაჩენის აღსრულებიდან 1 თვის ვადაში სრულად დაუბრუნდება გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხა (გირაოს შეტანის დროს არსებული კურსის გათვალისწინებით) და უძრავი ქონება, თუ ბრალდებული ზუსტად და კეთილსინდისიერად ასრულებდა ნაკისრ ვალდებულებას და მის მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება არ შეცვლილა უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საგამომძიებო კოლეგია ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას მოცემულ საქმეზე არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში მართალია არსებობს ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველები, მაგრამ არ არსებობს იმ ხარისხის და ზომის რისკი, რომ ბრალდებულ შ. ხ.-ს მიმართ აუცილებლად გამოყენებული იქნას უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვის ყველაზე მკაცრი ფორმა და მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ბრალდებულისათვის აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენება არის მართლზომიერად. შესაბამისად, საგამომძიებო კოლეგიას მიაჩნია, მოცემულ საქმეზე, ბრალდებულისათვის აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენება, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით არის ბრალდებულის ნორმალური ქცევის გარანტი და მისი

შემდგომი საქციელის სწორად განსაზღვრისათვის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლით განსაზღვრული მიზნებისა და საფუძვლების ადეკვატური.

რაც შეეხება გირაოს თანხის ოდენობას, აღნიშნულთან დაკავშირებით საგამოძიებო კოლეგია განმარტავს, რომ მხოლოდ დანაშაულის სიმძიმე და მოსალოდნელი სასჯელის ზომა, ცალკეულ შემთხვევებში არ არის გადაწყვეტი ფაქტორი აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენების დროს გირაოს ოდენობის დადგენისათვის. გირაოს ოდენობის განსაზღვრისას დანაშაულის სიმძიმესთან ერთად გათვალისწინებულ უნდა იქნას ბრალდებულის პირადი ქონებრივი შესაძლებლობები და იმ პირების (ოჯახის წევრების) ქონებრივი მდგომარეობა, რომლებიც უზრუნველყოფენ გირაოს გადახდას. ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე ჩადენილი ქმედების ხასიათს, მის საზოგადოებრივად საშიშროებას, ბრალდებულის პიროვნებას და საქმეში არსებულ სხვა არსებით გარემოებებს, როგორც მნიშვნელოვან რისკფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოსა და მისი ოდენობის განსაზღვრაზე.

დადგენილი გირაოს ოდენობა უნდა იყოს ზემო აღნიშნული ფაქტორების ერთობლიობაში მხედველობაში მიღებით, მათი პროპორციული და შესაბამისი, ხოლო, ბრალდებულის მიერ აღკვეთის ღონისძიების პირობების დარღვევის ან/და მიმალვის სურვილის შემთხვევაში ბრალდებულისათვის რეალურად შემაკავებელი ხასიათის. ამასთან, გირაოს სახით განსაზღვრული თანხა უნდა იყოს გონივრული, რათა ბრალდებულს ან მისი სახელით სხვა პირს შეეძლოს მისი გადახდა ან უზრუნველყოფა, წინააღმდეგ შემთხვევაში შეუსაბამოდ მაღალი გირაოს ოდენობის დადგენა ვერ იქნება გამართლებული, რადგან იგი ვერ უზრუნველყოფს აღკვეთის ღონისძიების მიზნებს, ვინაიდან თავიდანვე იქნება მოლოდინი იმისა, რომ ბრალდებული ვერ შეძლებს გირაოს გადახდას და ამით ხელოვნურად შევუწყობთ ხელს მისი სამართლებრივი მდგომარეობის გაუარესებას.

გირაოს ოდენობასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ გირაოს ოდენობის განსაზღვრისას უნდა შეფასდეს პატიმრის ქონება და მისი ურთიერთობა იმ პირებთან, რომლებიც გირაოს იხდიან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ - რამდენად წარმოადგენს გირაოს თანხის დაკარგვა ან თავდები პირის მიმართ საქმის აღძვრა მისი გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მიმალვის სურვილის საკმარის შემაკავებელ ფაქტორს (Neumeister v. Austria; Iwanczuk v. Poland). ამასთან, ევროპულმა სასამართლომ, გირაოს შესაძლო სიმძიმის გათვალისწინებით, გირაოს ოდენობის განსაზღვრისას იგივე გულმოდგინების ვალდებულება დააკისრა სახელმწიფოებს, როგორც აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის აუცილებლობის გადაწყვეტისას (Schertenleib v. Switzerland; Iwanczuk v. Poland).

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, საგამოძიებო კოლეგია ასევე ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას ბრალდებულისათვის გირაოს თანხის ოდენობის განსაზღვრის ნაწილშიც და მიაჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი გირაოს ოდენობა, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის, ქმედების ხასიათის, ბრალდებულის პიროვნების და საქმის სხვა არსებითი გარემოებების გათვალისწინებით არის ჩადენილი ქმედების პროპორციული და ბრალდებულის ქონებრივი შესაძლებლობების შესაბამისი. ამასთან, ახალი დანაშაულის ჩადენის, გამოძიებისათვის ხელის შეშლის ან მიმალვის შემთხვევაში ბრალდებულისთვის ცნობილია გირაოს უზრუნველსაყოფად გამოყენებული ფულადი თანხის ან/და უძრავი ქონების შემდგომი ბედი, რაც მისთვის დამაფიქრებელი და მისი ქცევის კონტროლის დამატებითი გარანტიაა.

ამდენად, საგამოძიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ მოსალოდნელი ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე არის მინიმალური და ამ შემთხვევაში სახეზე არ არის ბრალდებულის მიმართ პატიმრობის გამოყენების აუცილებლობა, ვინაიდან ზემოხსენებული რისკების ხარისხი ერთობლიობაში, უდანაშაულობის პრეზუმფციის გათვალისწინებით, აშკარად, ვერ გადაწონის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლით გარანტირებულ, პიროვნების ინდივიდუალური თავისუფლების უფლებას და საქმეში არსებული რელევანტური და საკმარისი მტკიცებულებებით უდავოდ არ დასტურდება პირის თავისუფლებაში ჩარევის აუცილებლობა და გარდაუვალობა.

ამასთან, მოცემულ შემთხვევაში, ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენება სრულად ესადაგება, როგორც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს, ასევე

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას და გამომდინარეობს შესაბამის პრეცედენტებში განმტკიცებული სტანდარტებიდან.

შესაბამისად, საგამომიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ წარმოდგენილი საჩივარი არის უსაფუძვლო, დაუსაბუთებელი და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საგამომიებო კოლეგია დამატებით აღნიშნავს, რომ მითითებული საკითხი ყველა კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გადაწყდეს ინდივიდუალურად, მოსამართლის შინაგანი რწმენის საფუძველზე, ნორმათა არა დამოუკიდებლად, არამედ ერთობლიობაში შეფასების, განმარტებისა და საქმის არსებითი გარემოებების, აგრეთვე ბრალდებულთან დაკავშირებით არსებული კონკრეტული და ინდივიდუალური მახასიათებლების მხედველობაში მიღებით, რომელთა გათვალისწინებითაც (რაზედაც ზემოთ აღინიშნა), მოცემულ საქმეზე საგამომიებო კოლეგიამ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინებით მიღებული გადაწყვეტილება არის კანონიერი და სამართლიანი.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

ვიხელმძღვანელებუ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე, მე-200, 207-ე მუხლებით და

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე :

1. თბილისის პროკურატურის შ.ს. სამინისტროს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორ გენადი ბაღდასაროვის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე გოგიტა თოთოსაშვილის 2014 წლის 04 დეკემბრის განჩინება, ბრალდებულ შ. ხ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით გირაოს გამოყენების თაობაზე;
3. განჩინება შესასრულებლად და ცნობისათვის, გაეგზავნოთ და გადაეცეთ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებულ შესაბამის პირებსა და ორგანოებს;
4. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.
- 5.

მოსამართლე

გიორგი მიროტაძე